



ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

„6“ „თებერვალი“ 2014 წელი

ეგზ N2

სსიპ “აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი”

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში 02/00
2010-2012 წლების 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის

შინაარსი

აუდიტის მიზანი და მასშტაბი	3
შესაბამისობის აუდიტის მიზანი	3
აუდიტის მასშტაბი	3
აუდიტორის ანგარიშის დანიშნულება	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა	4
ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა	5
გამოვლენილი გარემოებები	8
საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული შეუსაბამობები	8
თანაშრომელთა საქმიანობა და მათი დატვირთულობა	8
შემოსავლები	9
ინტერესთა კონფლიქტი აკრედიტაციის გაცემისას	11
ბიუჯეტის ასიგნებებიდან გაწეული ხარჯები	11
საწვავის ხარჯი	12
საშტატო განრიგი	13
პრემიები	13
მივლინებები	14
შესყიდვები	15

აუდიტის მიზანი და მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო -აკრედიტაციის ცენტრის“ (შემდგომში „აკრედიტაციის ცენტრის“) 2010, 2011 და 2012 წლების განმავლობაში განხორციელებული საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის აუდიტი.

შესაბამისობის აუდიტის მიზანი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტორმა გამოთქვას მოსაზრება აკრედიტაციის ცენტრის მიერ მის საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული ოპერაციები რამდენად შესაბამისობაშია:

- კანონმდებლობასთან
- სახელმწიფო მოთხოვნებთან
- სხვა მარეგულირებელ ნორმებთან

აუდიტის მიზანს წარმოადგენდა, სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო -აკრედიტაციის ცენტრის“ საქმიანობის არსებითი გავლენის მქონე საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენა, მათ შორის:

- საქართველოს კანონი - პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი
- საქართველოს კანონი - პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ
- საქართველოს კანონი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ
- საქართველოს კანონი - სახელმწიფო ქონების შესახებ
- საქართველოს კანონი - სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
- საქართველოს კანონი - შრომის კოდექსი
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №301 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება - სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N605 „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N672 საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N1321 “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე
- აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის განკარგულება სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ შესრულებული ანაზღაურებადი სამუშაოების (მომსახურების) ღირებულების განსაზღვრის და შემოსავლების განაწილების წესის დამტკიცების შესახებ.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა აკრედიტაციის ცენტრის 2010, 2011 და 2012 წლების შემდეგი ძირითადი საქმიანობები:

1. აკრედიტაციის ცენტრის შემოსავლების შესაბამისობა მოქმედ საკანონმდებლო ნორმებთან;
2. საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო რესურსების განკარგვის კანონიერება და მართლზომიერება;
3. აკრედიტაციის ცენტრის სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო საქმიანობის მოქმედ საკანონმდებლო და სხვა ნორმებთან შესაბამისობა.

აუდიტორის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამოებების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აკრედიტაციის ცენტრის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2010, 2011 და 2012 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. აკრედიტაციის ცენტრის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას, განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ აკრედიტაციის ცენტრის 2010, 2011 და 2012 წლების საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამოების ფაქტებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობაა აუდიტი დაგეგმოს და ჩატაროს იმდაგვარად, რომ მიიღოს საკმარისი და შესაფერისი რწმუნება მოსაზრების გამოსახატავად. აუდიტორული პროცედურები წარმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოებების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა

აკრედიტაციის ცენტრი წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომში „ეკონომიკის სამინისტროს“) სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის უირიდიულ პირს, რომელიც შეიქმნა 2005 წელს.

2012 წლის მაისამდე, აკრედიტაციის ცენტრი აკრედიტაციებს გასცემდა საქართველოს კანონით პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ, რომელიც ძალადაკარგულად გამოცხადდა 2012 წლის მაისიდან საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მიღების შემდეგ. ამჟამად აკრედიტაციის ცენტრი მოქმედებს აღნიშნული კოდექსით. კოდექსის შესაბამისად იგი ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისობის შემფასებელ პირთა აკრედიტაციას. მათ შორისაა:

- საგამოცდო და საკალიბრბელი ლაბორატორიები;
- სამედიცინო ლაბორატორიები;
- პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანოები;
- პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოები;
- მენეჯმენტის სისტემის აუდიტის და სერტიფიკაციის ორგანოები;
- ინსპექტირების ორგანოები (მათ შორის: ავტოსატრანსპორტო საშუალებათა სხვადასხვა სახის ტესტირების ცენტრები და დაკანონებული გაზომვის საშუალებების დამამოწმებელი პირები)

აკრედიტაციის ცენტრი არ არის შესაბამისობის შემფასებელი ორგანო. სხვადასხვა ტიპის შესაბამისობის შემფასებელ პირთა აკრედიტაცია ხორციელდება ცენტრის მიერ მიღებული იმ წესებისა და პროცედურების საფუძველზე, რომლებიც ეფუძნება შესაბამის აკრედიტაციის სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული ორგანიზაციების მიერ მიღებულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო დოკუმენტებს.

აკრედიტაცია ნებაყოფლობითია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონით პირდაპირ არის განსაზღვრული აკრედიტაციის სავალდებულობა. ლაბორატორიების აკრედიტაცია არის განსაზღვრული სახის ტესტირებების, გაზომვების და დაკალიბრების საქმეში, მათი ტექნიკური კომპეტენტურობის განსაზღვრის საშუალება. აკრედიტაცია აგრეთვე უზრუნველყოფს ასეთი ლაბორატორიების ოფიციალურ აღიარებას, რაც კლიენტებს უადვილებს ამა თუ იმ დარგში მათი მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი, საიმედო მომსახურების პოვნასა და შერჩევას.

აკრედიტაციის მოწმობა არის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი. იგი გაიცემა აკრედიტაციის ცენტრის მიერ განსაზღვრული ვადით (მაქსიმუმ 4 წლით), რომელიც საერთოა ერთი ტიპის აკრედიტებული პირებისათვის, აკრედიტაციის მოწმობა არის აკრედიტაციის დამადასტურებელი მტკიცებულება. აკრედიტაციის ვადის განმავლობაში აკრედიტებული პირი უნდა აკმაყოფილებდეს აკრედიტაციის პირობებს.

აკრედიტაციის ცენტრს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის წარდგინებით. ცენტრის სამტატო ნუსხას ამტკიცებს მინისტრი, დირექტორის წარდგინებით.

დირექტორი მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში მოქმედებს დამოუკიდებლად და პერსონალურად აგებს პასუხს ცენტრის საქმიანობის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვისათვის, ცენტრის მფლობელობაში არსებული ქონების დაცვისა და მიზნობრივი ხარჯვისათვის.

ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფები და მათი ფუნქციები:

- **საჯარო საინფორმაციო სამსახური** ახორციელებს აკრედიტაციის ცენტრის საქმისწარმოების სისტემის ორგანიზებას, საჯარო საინფორმაციო მომსახურების გაწევას, აკრედიტაციის მამიებელი პირების განაცხადის მიღებას თანდართული დოკუმენტებით, აკრედიტებული ორგანოების რეესტრის წარმოებას, რეესტრის მუდმივ განახლებას და სხვა ორგანიზებულ სამუშაოს.
- **საფინანსო განყოფილება** კანონმდებლობის შესაბამისად, ახორციელებს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშებას, სამივლინებო დოკუმენტების გაფორმებას, აწარმოებს ურთიერთობებს საგადასახადო ორგანოებთან და სხვა ორგანოებთან, შესყიდვების და მასთან დაკავშირებული ურთიერთობების კოორდინაციას, ყოველწლიურად, ასევე მოთხოვნის შემთხვევაში საქართველოს

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის წარსადგენად ამზადებს აკრედიტაციის ცენტრის ფინანსურ ანგარიშს.

- **აკრედიტაციის, ზედამხედველობისა და საინსპექციო კონტროლის სამსახური** – მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს აკრედიტაციის მაძიებელი პირების აკრედიტაციის სამუშაოების ორგანიზებას და აკრედიტებული პირების გეგმური ან არაგეგმური საინსპექციო კონტროლის ჩატარებას, ზედამხედველობის განხორციელებას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

ძირითადი საქმიანობის სფერო და მარეგულირებელი ნორმები

აკრედიტაციის ცენტრი 2010, 2011 და 2012 წლებში მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობდა აკრედიტაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე დირექტორის ბრძანებით¹, რომელიც მოიცავს:

- სსიპ “აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრის” აკრედიტაციის წესებს და პროცედურებს;
- ზოგად მოთხოვნებს ლაბორატორიების აკრედიტაციისადმი;
- ზოგად მოთხოვნებს შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების (სერტიფიკაციის ორგანოების) აკრედიტაციისათვის;
- აკრედიტებული სერტიფიკაციის ორგანოების და ლაბორატორიების საქმიანობის საინსპექციო კონტროლის და ზედამხედველობის ჩატარების წესს;
- აკრედიტებული იურიდიული და ფიზიკური პირების, აკრედიტაციის სისტემის მონაწილეთა და აკრედიტაციის მოთხოვნათა შემცველი დოკუმენტების რეესტრის წარმოების წესს;
- აკრედიტაციის ცენტრის აკრედიტაციის საბჭოს რეგლამენტს;
- აკრედიტაციის სისტემის ტექნიკურ რეგლამენტს, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ცენტრების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებზე
- ტექნიკურ რეგლამენტს – წესები და პროცედურები საინსპექციო ორგანოების შესაბამისობაზე აკრედიტაციისათვის.

ზემოთ ჩამოთვლილი სახელმძღვანელოების მიხედვით განსაზღვრულია აკრედიტაციის პროცესი და იგი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

პირველ ეტაპზე აკრედიტაციის მსურველი აკრედიტაციის ცენტრის საჯარო საინფორმაციო სამსახურში აკეთებს განაცხადს აკრედიტაციის მიღებაზე.

განმცხადებელი აკრედიტაციის ცენტრში განაცხადთან ერთად წარადგენს შემდეგი დოკუმენტების პაკეტს:

ლაბორატორიებისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- აკრედიტაციის სფერო, რომლებშიც მითითებულია პროდუქცია/მომსახურება, შესაბამისი სტანდარტები, ტექნიკური რეგლამენტები ან სხვა დოკუმენტირებული პროცედურები და გამოყენებული არასტანდარტული მეთოდები და სხვა.
- დებულება;
- ლაბორატორიის ანკეტა-კითხვარი;
- ლაბორატორიის პასპორტი;
- ხარისხის სახელმძღვანელო;
- ნოტარიულად დამოწმებული რეგისტრირებული იურიდიული პირის წესდების ასლი ან ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში – რეგისტრაციის მოწმობის ასლი.

¹ 2006 წლის 7 ივნისის #1 ბრძანება

სერტიფიკაციის ორგანოებისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- აკრედიტაციის სფერო;
- დებულება;
- ხარისხის სახელმძღვანელო;
- ნოტარიულად დამოწმებული რეგისტრირებული იურიდიული პირის წესდების ასლი ან ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში – რეგისტრაციის მოწმობის ასლი.

აკრედიტაციის ცენტრში პირველ ეტაპზე დოკუმენტაცია ანალიზდება საჯარო საინფორმაციო სამსახურის უფროსისა და ამავე სამსახურის სპეციალისტის მიერ. თუ პირველ ეტაპზე დოკუმენტაცია არასრულია, ის მომდევნო ეტაპზე არ განიხილება, ხოლო თუ დოკუმენტაცია სრულადაა წარმოდგენილი ხდება დოკუმენტაციის ანალიზი. ანალიზის შედეგად დადებითი პასუხის შემთხვევაში, დირექტორის განკარგულებით იქმნება საატესტაციო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლები. საჭიროების შემთხვევაში აკრედიტაციის ცენტრი კომისიაში რთავს მოწვეულ სპეციალისტებს. საატესტაციო კომისია შესაბამისი პროგრამის მიხედვით აწარმოებს აკრედიტაციის ობიექტის ფაქტიური მდგომარეობის შეფასებას. საატესტაციო კომისია სამუშაოების დამთავრების შემდეგ აკეთებს ანალიზს ობიექტის შესაბამისობაზე აკრედიტაციის კრიტერიუმებთან. შეფასების შედეგების მიხედვით ფორმდება აკრედიტაციის აქტი და განიხილება აკრედიტაციის საბჭოზე. აკრედიტაციის საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც წარმოადგენს აკრედიტაციის ცენტრის დირექტორი. აკრედიტაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის გაცემის ან გაცემაზე უარის შესახებ.

სპეციალისტების ჩართვა აკრედიტაციის პროცესში

აკრედიტაციის ცენტრი ხელშეკრულების საფუძველზე ანაზღაურებად სამუშაოებში რთავს მოწვეულ სპეციალისტებს (ტექნიკურ შემფასებლებს და ექსპერტებს), რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. კერძოდ, 2006 წელს ტექნიკური რეგლამენტების გამოქვეყნებისთანავე აკრედიტაციის ცენტრმა შესაბამისი წერილებით მიმართა საქართველოს სხვადასხვა ინსტიტუტებს, უნივერსიტეტებს, მეტროლოგიისა და სტანდარტების ცენტრებს მოეწოდებინათ კომპეტენტურ პირთა სია. მოწოდებული სიებიდან შეირჩა სპეციალისტები.

შერჩეულ სპეციალისტებს ჩაუტარდათ სწავლება, რომლის დროსაც განემარტათ აკრედიტაციის და ტექნიკური რეგლამენტების მნიშვნელობა. აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის ცენტრის მიერ არ ხდებოდა მოწვეულ სპეციალისტთა კომპეტენციის რაიმე ფორმით გადამოწმება. ასევე, 2006 წლის შემდგომ არ მომხდარა მოსაწვევ სპეციალისტთა მოწვევის მიზნით საქართველოს სხვადასხვა ინსტიტუტებში, უნივერსიტეტებში, მეტროლოგიისა და სტანდარტების ცენტრებში სპეციალისტთა სიების განახლების მიზნით შეტყობინებების დაგზავნა. საგულისხმოა, რომ 5-6 წლის განმავლობაში ძირეულად შეიძლება შეიცვალოს ექსპერტთა კომპეტენციები, ამიტომ უმჯობესია სიების განახლებას ჰქონდეს უფრო სისტემატური ხასიათი.

გადამზადებულ სპეციალისტებთან ფორმდებოდა ხელშეკრულებები აკრედიტაციის გარკვეული სამუშაოების შესასრულებლად. მოწვეულ ტექნიკურ შემფასებლებისა და ექსპერტების კომპეტენციის შეფასება ხდება აკრედიტაციის ცენტრის წამყვანი სპეციალისტების მიერ მხოლოდ აკრედიტაციის პროცესში გამოვლენილი უნარების შესაბამისად.

წამყვანი სპეციალისტი აკვირდება მოწვეულ ტექნიკურ შემფასებლებისა და ექსპერტების მიერ შესრულებულ სამუშაოებს, ყურადღებას აქცევს თუ რა მიდგომებს ეყრდნობა, რამდენად იყენებს დამტკიცებულ სახელმძღვანელო დოკუმენტებს აკრედიტაციის, საინსპექციო კონტროლის და ზედამხედველობის პროცესში.

აკრედიტაციის ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობა:

დასახელება	2010	2011	2012
აკრედიტაცია	75	55	41
საინსპექციო კონტროლი	68	80	95
არაგეგმიური საინსპექციო კონტროლი	11	6	9

გამოვლენილი გარემოებები

საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული შეუსაბამოებები

1. ძირითადი აქტივების აღრიცხვა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანების² და სამინისტროსა და აკრედიტაციის ცენტრს შორის 2008 წლის 6 თებერვალს გაფორმებული უზურფრუქტის ხელშეკრულების თანახმად, აკრედიტაციის ცენტრს გადაეცა ქონება ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირზე N42-ში მდებარე N2 შენობა-ნაგებობის პირველი სართული (334.78 კვ.მ.) და მასზე წილობრივად დამაგრებული 92.2 კვ.მ. მიწის ფართი, საერთო ღირებულებით 42,135 ლარი. აღნიშნული ქონება აკრედიტაციის ცენტრის ბალანსზე არ ასახულა, რაც შეუსაბამოებაშია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის³ მოთხოვნებთან, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემისას სარგებლობის უფლების გამცემი პირი ბალანსიდან იხსნის გადაცემულ სახელმწიფო ქონებას, ხოლო სარგებლობის უფლებით მიმღებ პირს ბალანსზე აჰყავს აღნიშნული ქონება.

2. აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების მდგომარეობა

2010, 2011 და 2012 წლების განმავლობაში აკრედიტაციის ცენტრში ინვენტარიზაცია ჩატარდა მხოლოდ ერთხელ - 2012 წლის დეკემბერში. რაც არ შეესაბამება საქართველოს ფინანსთა მინისტრის N605 ბრძანებას „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ. აღნიშნული ბრძანების⁴ თანახმად, ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს.

მივლინებების ბუღალტრული აღრიცხვისას დაფიქსირდა შემდეგი სახის შეცდომები:

- 2010 წლის 12 ივლისის სამივლინებო ხარჯი შეცდომით ორჯერ არის გატარებული 300 ლარის ოდენობით;
- 2011 წლის 21-23 ივლისის სამივლინებო ხარჯიდან 216 ლარი, შეცდომით ორჯერ არის გატარებული;
- 2012 წლის 13 ივლისში, სამივლინებო ხარჯების გარდა, სასტუმროს ხარჯი დამატებით შეცდომით ცალკე არის აღიარებული ხარჯში 407 ლარის ოდენობით.

თანამშრომელთა საქმიანობა და მათი დატვირთულობა

აკრედიტაციის ცენტრს ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით 2010, 2011 და 2012 წლებში საშტატო ნუსხით ჰყავდა 14 თანამშრომელი.

2012 წელს აკრედიტაციის, ზედამხედველობისა და საინსპექციო კონტროლის სამსახურის 7 მთავარი სპეციალისტის მიერ გაცემულია 41 აკრედიტაცია, 95 გეგმიური და 9 არაგეგმიური საინსპექციო კონტროლი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში, წარმოდგენილია 2012 წლის განმავლობაში თითოეული წამყვანი სპეციალისტი რამდენ პროექტში იყო კომისიის თავმჯდომარე და თვის განმავლობაში მათი დატვირთულობის კოეფიციენტი:

წამყვანი შემფასებელი	სამუშაოს რაოდენობა ⁵	ნამუშევარი თვეები	შრომის დატვირთულობის კოეფიციენტი	შრომის ანაზღაურება
გაჩეჩილაძე ლერი	39	12	3.3	14,554
კალანდაძე ელენე	35	12	2.9	14,554
შიოლაშვილი გიორგი	28	12	2.3	14,554
კუგუშავეა ალა	25	12	2.1	15,937
კვიციანი ზაზა	22	12	1.8	14,554
ჯორბენაძე მადონა	9	12	0.8	14,554
მგელაძე ნესტან	2	3	0.7	1,182
ოთხვანი სოფიო	0	10	0.0	14,129

² 07.06.2007 წლის N1-1/865 ბრძანება

³ 35-ე მუხლის მე-10 პუნქტი

⁴ მე-3 მუხლის 1 პუნქტი

⁵ სამუშაო მოიცავს აკრედიტაციას, არაგეგმიურ და გეგმიურ საინსპექციო კონტროლებს

აკრედიტაციის ცენტრის განმარტებით, მთავარ სპეციალისტს სოფიო ოთხვანს, მონაწილეობა აქვს მიღებული მხოლოდ ხუთი კომპანიის საინსპექციო და ლაბორატორიის კონტროლში, ასევე ს.ს. "ლომისის" ტესტირების ლაბორატორიის წინასწარი შეფასების სამუშაოებში, როგორც კომისიის წევრს და არა როგორც კომისიის თავმჯდომარეს. როგორც წესი, აკრედიტაციის ცენტრში, მთავარი სპეციალისტები აკრედიტაციის კომისიის თავმჯდომარეებს წარმოადგენდნენ, თუმცა როგორც აკრედიტაციის ცენტრის ხელმძღვანელობამ განმარტა:

„სოფიო ოთხვანი დანიშნული იყო მთავარ სპეციალისტად (თანამდებობა), რის შემდეგაც მას უნდა გაეგლო გარკვეული ეტაპი წამყვან შემფასებლად კვალიფიკაციისათვის. ის შესაბამისად: ა) აღნიშნულ საქმეებს უძღვებოდა უშუალოდ (მიუხედავად იმისა, რომ მითითებულია, როგორც კომისიის წევრი და არა, როგორც კომისიის თავმჯდომარე) თუმცა შესაბამისი საქმის მენეჯერის მეთვალყურეობით, რომელიც მას უზიარებდა საქმის წარმოების გამოცდილებას. ბ) ასევე, აღნიშნული საქმეები შეფასების თვალსაზრისით საკმაოდ შრომატევადია შესაფასებელი ობიექტების აკრედიტაციის სფეროსა და ხარისხის მენეჯმენტის სიდიდის გათვალისწინებით. საკვალიფიკაციო ეტაპზე მიზანშეწონილი არ იქნება შემფასებელმა იმ რაოდენობის საქმეების შეფასებებში მიეღო მონაწილეობა, რასაც უძღვებიან გამოცდილი წამყვანი შემფასებლები“.

2012 წელს სოფიო ოთხვანის შრომის ანაზღაურება შეადგენს 14,129 ლარს, საიდანაც 2,128 ლარი გაცემულია პრემიის სახით. აღსანიშნავია, რომ სოფიო ოთხვანს თითქმის იგივე ოდენობის ხელფასი აქვს აღებული, რაც სხვა წამყვან სპეციალისტებს, რომელთა დატვირთულობის კოეფიციენტიც მისსაზე გაცილებით მეტია. აღნიშნული ფაქტი უარყოფითად მოქმედებს მეტად გამოცდილ თანამშრომელთა მოტივაციაზე, როდესაც გამოუცდელ კადრს, რომელიც მათი მეთვალყურეობის ქვეშაა აქვს იგივე ოდენობის ხელფასი.

შემოსავლები

აკრედიტაციის ცენტრის 2010 წლის ფაქტიურმა არასაბიუჯეტო შემოსავალმა დღგ-ს ჩათვლით შეადგინა 178,859 ლარი, ხოლო დაგეგმილი შემოსავალი იყო 100,000 ლარი (შესრულება 179%), 2011 წელს ფაქტიურმა არასაბიუჯეტო შემოსავალმა დღგ-ს ჩათვლით შეადგინა 167,407 ლარი, დაგეგმილი შემოსავალი იყო 200,000 ლარი (შესრულება 84%), 2012 წლის დაგეგმილი შემოსავალი იყო 100,000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა არასაბიუჯეტო შემოსავალმა დღგ-ს ჩათვლით შეადგინა 361,144 ლარი (შესრულება 361%).

აკრედიტაციის ცენტრის 2011 წლის თავდაპირველად დაგეგმილი არასაბიუჯეტო შემოსავალი იყო 250,000 ლარი, რაც შემდგომ შემცირდა 200,000 ლარამდე. წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვანი ზრდა დაგეგმილ შემოსავლებში, გამოწვეული იყო იმით, რომ 2011 წლის აგვისტოში გაიზარდა აკრედიტაციის საფასური და მოთხოვნები აკრედიტირებული ორგანიზაციების მიმართ. აკრედიტაციის ცენტრის მოლოდინით უნდა გაზრდილიყო შემოსავალი, მაგრამ გაზრდილი ფასის გამო, რიგ ორგანიზაციებმა თავი შეიკავეს აკრედიტაციის მიღებისგან. ამიტომ, აკრედიტაციის ცენტრმა ვერ მიიღო დაგეგმილი შემოსავალი.

გეგმიურ და ფაქტიურ შემოსავლებს შორის სხვაობა, აკრედიტაციის ცენტრის განმარტებით, გამოწვეულია იმით, რომ აკრედიტაცია არ არის სავალდებულო. შესაბამისად, რთულია დაგეგმვა თუ რა მოთხოვნა იქნება მომავალი წლისთვის. ამასთან ერთად, უკვე აკრედიტირებულმა ორგანიზაციებმა შეიძლება უარი განაცხადონ აკრედიტაციაზე, ან მოითხოვონ აკრედიტაციის დროებით შეჩერება, რაც ასევე იწვევს მონიტორინგიდან მისაღები შემოსავლების შემცირებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია 2010, 2011 და 2012 წლებში აკრედიტაციის ცენტრის შემოსავლები დღგ-ს გარეშე:

2010	შემოსავალი აკრედიტაციიდან	შემოსავალი მონიტორინგიდან	შემოსავალი საკონსულტაციო მომსახურებიდან	უცხო ენაზე გაცემული სერთიფიკატები	სულ
იანვარი	7,571	10,592	-	-	18,163
თებერვალი	2,026	2,713	-	-	4,739
მარტი	10,154	5,169	-	-	15,323
აპრილი	4,499	3,600	-	-	8,100
მაისი	1,797	1,810	-	-	3,607
ივნისი	5,850	4,379	-	-	10,229
ივლისი	4,025	7,131	-	-	11,156
აგვისტო	9,499	12,035	-	-	21,534
სექტემბერი	567	508	-	-	1,075
ოქტომბერი	13,318	5,249	810	-	19,377
ნოემბერი	13,417	5,202	-	-	18,619
დეკემბერი	13,288	6,364	-	-	19,652
სულ	86,011	64,752	810	-	151,574
2011	შემოსავალი აკრედიტაციიდან	შემოსავალი მონიტორინგიდან	შემოსავალი საკონსულტაციო მომსახურებიდან	უცხო ენაზე გაცემული სერთიფიკატები	სულ
იანვარი	4,713	-	-	-	4,713
თებერვალი	-	1,564	-	-	1,564
მარტი	553	6,414	-	-	6,968
აპრილი	4,219	1,992	-	-	6,211
მაისი	3,706	7,906	-	-	11,612
ივნისი	10,593	6,155	-	-	16,747
ივლისი	6,804	10,536	-	-	17,340
აგვისტო	4,677	2,147	-	-	6,824
სექტემბერი	9,291	5,489	-	-	14,779
ოქტომბერი	5,555	5,798	-	-	11,353
ნოემბერი	5,575	8,719	1,000	90	15,384
დეკემბერი	15,414	12,871	-	90	28,375
სულ	71,100	69,591	1,000	180	141,870
2012	შემოსავალი აკრედიტაციიდან	შემოსავალი მონიტორინგიდან	შემოსავალი საკონსულტაციო მომსახურებიდან	უცხო ენაზე გაცემული სერთიფიკატები	სულ
იანვარი	2,220	17,870	-	90	20,180
თებერვალი	7,390	16,698	-	-	24,088
მარტი	10,169	7,208	-	180	17,557
აპრილი	5,908	5,130	-	-	11,038
მაისი	19,579	12,174	2,170	-	33,923
ივნისი	18,608	16,650	1,000	-	36,258
ივლისი	3,804	17,036	-	-	20,840
აგვისტო	17,306	10,738	1,000	-	29,044
სექტემბერი	9,014	17,948	-	-	26,962
ოქტომბერი	9,214	18,502	-	-	27,716
ნოემბერი	7,436	32,034	-	90	39,560
დეკემბერი	11,140	7,748	-	-	18,888
სულ	121,788	179,736	4,170	360	306,054

2010 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 4 აგვისტომდე აკრედიტაციის ცენტრი ანაზღაურებადი მომსახურების ფასების გაანგარიშების დროს ეყრდნობოდა აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის განკარგულების⁶ მიხედვით განსაზღვრულ ფასთა ნუსხას, ხოლო 2011 წლის 4 აგვისტოდან აკრედიტაციის ცენტრი მოქმედებს საქართველოს მთავრობის დადგენილების⁷ მიხედვით განსაზღვრული ფასებით.

გამოვლინდა შეუსაბამოები დამტკიცებულ ფასებსა და გაფორმებულ ხელშეკრულებებში მოცემულ ფასებს შორის:

2011 წლის 30 სექტემბერს აკრედიტაციის ცენტრსა და სს "სეიბოლტ-ანალიტ ჰოლდინგ ბ.ვ"-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ლაბორატორიის აკრედიტაციის სამუშაოების ჩატარების შესახებ, აღნიშნული მომსახურების ღირებულება, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ფასთა ნუსხის მიხედვით, შეადგენდა 3,193.08 ლარს დღ-ს ჩათვლით, თუმცა არასწორი კალკულაციის შედეგად ხელშეკრულების თანხამ შეადგინა 2,721.08 ლარი, შესაბამისად სააგენტომ მიიღო 472 ლარით ნაკლები შემოსავალი, ვიდრე უნდა მიეღო. აღნიშნული 472 ლარი, აკრედიტაციის ცენტრისთვის აუდიტის პირველადი ანგარიშში ასახული შედეგების გაცნობის შემდგომ, სს "სეიბოლტ-ანალიტ ჰოლდინგ ბ.ვ"-ის მიერ ანაზღაურდა აკრედიტაციის ცენტრის საბანკო ანგარიშზე.

ინტერესთა კონფლიქტი აკრედიტაციის გაცემისას

2010 წელს ჩატარდა სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გემოლოგიისა და მინერალურ ნივთიერებათა კვლევის დიაგნოსტიკური და გადამუშავების რესპუბლიკური ცენტრის“ აკრედიტაცია, სადაც ექსპერტად მოწვეული იყო ამავე უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიების დეპარტამენტის სრული პროფესორი არჩილ სარუხანიშვილი. ასევე 2011 და 2012 წლებში იგივე ლაბორატორიის გეგმიური საინსპექციო კონტროლიც განხორციელებული აქვს ამავე პიროვნებას.

გამომდინარე იქიდან, რომ როგორც გემოლოგიისა და მინერალურ ნივთიერებათა კვლევის დიაგნოსტიკური და გადამუშავების რესპუბლიკური ცენტრი, ასევე ქიმიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი არის სსიპ "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის" სტრუქტურული ერთეული, შესაბამისად, აღნიშნული სამუშაოს შესრულების დროს არსებობს ინტერესთა კონფლიქტი და ექვეყნეშ დგება ექსპერტის ობიექტურობის საკითხი.

2012 წელს ჩატარდა შპს "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" გეგმიური საინსპექციო კონტროლი, სადაც ექსპერტად მიწვეული იყო შპს "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" ტესტირების ლაბორატორიის უფროსი დავით ჯიბლაძე. შპს "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია" და შპს "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია" შედიან ერთ ჰოლდინგში, შესაბამისად მოცემული სამუშაოს შესრულების დროს არსებობს ინტერესთა კონფლიქტი და ექვეყნეშ დგება ექსპერტის ობიექტურობის საკითხი.

ბიუჯეტის ასიგნებებიდან გაწეული ხარჯები

საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით, აკრედიტაციის ცენტრს ასიგნებით გამოყოფილი ჰქონდა 142,000 ლარი შრომის ანაზღაურების მუხლში.

2010 წლის 22 იანვრის, აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის თხოვნით ეკონომიკის სამინისტროსგან გამოეყო გრანტი 8,000 ლარის ოდენობით, რომელიც გამოიხსნა იყო EA-ს (European Cooperation for Accreditation) ყოველწლიური საწევრო გადასახადისთვის, რაც შეადგენს 3,000 ევროს.

2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით, აკრედიტაციის ცენტრს ასიგნებით გამოყოფილი ჰქონდა 150,000 ლარი, აქედან 142,000 ლარი გამოყოფილი იყო შრომის ანაზღაურების მუხლში, სადაც წლის განმავლობაში წარმოიშვა ეკონომია 8,315 ლარის ოდენობით, რომელიც ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით გაიცა პრემიის სახით, ხოლო 8,000 ლარი გამოყოფილი იყო „საქონელი და მომსახურების“ მუხლში. ამავე წლის 5 დეკემბერს შპს "რეჰაუ ჯგუფთან" გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად აკრედიტაციის ცენტრმა შეიძინა ოთხი მაგიდა, თითოეული ღირებულებით 325 ლარი და ორი კარადა თითოეული ღირებულებით 630 ლარი, რომელიც "ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების

⁶ 2006 წლის 19 მაისის N 30 განკარგულება

⁷ დადგენილება N 301

ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე "საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანების⁸ თანახმად წარმოადგენს არაფინანსურ აქტივს, შესაბამისად აკრედიტაციის ცენტრს არ ჰქონდა აღნიშნული შესყიდვის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით განხორციელების უფლება.

საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით, აკრედიტაციის ცენტრს ასიგნებით გამოყოფილი ჰქონდა 150,000 ლარი, აქედან 142,000 ლარი გამოყოფილია შრომის ანაზღაურების მუხლში ხოლო 8,000 ლარი საქონელი და მომსახურების მუხლში. გამოყოფილი სახსრების ათვისება სრულად ვერ მოხერხდა, შრომის ანაზღაურების მუხლში 6,614 ლარის ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლში 4,375 ლარის ოდენობით, რამაც ჯამში შეადგინა 10,990 ლარი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2010, 2011 და 2012 წლების საბიუჯეტო ასიგნებები და მათი შესრულება:

დასახელება	2010 წლის გეგმა	2010 წლის ფაქტი	2011 წლის გეგმა	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა	2012 წლის ფაქტი
სსიპ "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი"	150,000	149,816	150,000	150,000	150,000	139,009
მომუშავეთა რიცხოვნობა	14	14	14	14	14	14
ხარჯები	150,000	149,816	150,000	150,000	150,000	139,009
შრომის ანაზღაურება	142,000	142,000	142,000	142,000	142,000	135,385
თანამდებობრივი სარგო	142,000	142,000	142,000	133,685	142,000	135,385
პრემია	-	-	-	8,315	-	-
საქონელი და მომსახურება	-	-	8,000	8,000	8,000	3,624
სუბსიდიები	-	-	-	-	-	-
გრანტები	8,000	7,816	-	-	-	-

საწვავის ხარჯი

2010, 2011 და 2012 წლების განმავლობაში, აკრედიტაციის ცენტრის მიერ შესაძენი საწვავის (ა/მ-ის საწვავის ლიმიტის) რაოდენობის და ღირებულების შეთანხმება ხდებოდა ეკონომიკის სამინისტროსთან, რაც მოთხოვნილი იყო აკრედიტაციის ცენტრის დებულებით. შეთანხმება ხდებოდა წლიურ ლიმიტზე აკრედიტაციის ცენტრის ყველა ავტომობილისთვის ჯამურად. (არ იყო დაკონკრეტებული, რომელ ავტომობილს რა ოდენობის საწვავის ლიმიტი ჰქონდა თვეების მიხედვით). შესაბამისად ვერ იქნა მოძიებული დოკუმენტაცია იმაზე, თუ რა რაოდენობის საწვავი დაიხარჯა კონკრეტულ ავტომობილზე. ასევე ორგანიზაციაში არ მოიპოვება დოკუმენტაცია იმაზე, თუ ვის მიერ და ვისზე ხდებოდა საწვავის ტალონების გაცემა. შესაბამისად ვერ იქნა მოპოვებული რწმუნება იმაზე, შესყიდული საწვავი რამდენად მიზნობრივად მოხმარდა ორგანიზაციაში.

ასევე საყურადღებოა ისიც, რომ დარღვეულია ფინანსთა მინისტრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ასახავს ღირებულების შექმნას, გარდაქმნას, გაცვლას, გადაცემას ან ანულირებას. ხოლო ეკონომიკური მოვლენები აღრიცხვაში აისახება მოვლენის მოხდენის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების მიღებისას. შესაბამისად, საწვავის ხარჯის აღიარება უნდა მომხდარიყო არა მისი შეძენის, არამედ კონკრეტულად ხარჯის მიხედვით. გამომდინარე იქიდან, რომ აკრედიტაციის ცენტრის მიერ საწვავი ხარჯში ჩამოიწერებოდა მისი შეძენის დროს საწვავის ღირებულების და არა რეალურად ხარჯის მიხედვით, ვერ ხერხდება იმის იდენტიფიცირება თუ რამდენი იყო კონკრეტული თვის საწვავის რეალური ხარჯი.

2010 წლის ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებული საწვავის ლიმიტი იყო 9,550 ლარის ღირებულების საწვავი, ხოლო ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 7,606 ლარი (OPEL OMEGA და TOYOTA RAV4).

2011 წელს აკრედიტაციის ცენტრმა საწვავის წლიური ლიმიტის შესათანხმებლად ეკონომიკის სამინისტროს 2011 წლის 2 თებერვალს მისწერა წერილი, რომლის თანახმადაც 2011 წლის შესათანხმებელი საწვავის ღირებულება შეადგენდა 9,200 ლარს, რაზეც პასუხი არ მიუღიათ. აკრედიტაციის ცენტრმა 2011 წლის 18 თებერვალს

⁸ 22-ე მუხლის პირველი პუნქტი

ხელმეორედ მისწერა ეკონომიკის სამინისტროს წერილი საწვავის ლიმიტის შესათანხმებლად, არც მეორედ გაგზავნილ წერილზე მიუღიათ პასუხი ეკონომიკის სამინისტროსგან. 2011 წლის საწვავის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 5,961 ლარი (2800 ლიტრი).

2012 წელს საწვავის ლიმიტის შესათანხმებლად ეკონომიკის სამინისტროში 2012 წლის 13 თებერვალს გაგზავნილია წერილი, რომლის თანახმადაც გეგმით გათვალისწინებული იყო 15,000 ლარის ოდენობის საწვავის ხარჯი (შემენა). ეკონომიკის სამინისტრომ წერილით⁹ აკრედიტაციის ცენტრს მოსთხოვა საწვავის ხარჯის (ლიმიტის) ლიტრებში შეთანხმება. აკრედიტაციის ცენტრმა 2012 წლის 3 აპრილს ეკონომიკის სამინისტროს მისწერა წერილი, სადაც შესათანხმებელი საწვავის ლიმიტი შეადგენდა 6,900 ლიტრს, რაც ეკონომიკის სამინისტრომ 2012 წლის 7 მაისს დაუდასტურა. აქედან გამომდინარე აკრედიტაციის ცენტრმა საწვავის ლიმიტზე (შემენაზე) თანხმობა ეკონომიკის სამინისტროდან მიიღო 2012 წლის 7 მაისს. შესაბამისად ამ თარიღამდე საწვავის შემენა არის განხორციელებული ეკონომიკის სამინისტროს თანხმობის გარეშე. 2012 წლის საწვავის ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 8,437 ლარი (3,850 ლიტრი). (KIA CERATO და TOYOTA RAV4. KIA CERATO შეძენილია 2012 წლის მარტში)

საშტატო განრიგი

აკრედიტაციის ცენტრის დებულების მიხედვით, საშტატო ნუსხის და შრომის ანაზღაურების ფონდის განსაზღვრა საჭიროებს ეკონომიკის სამინისტროს თანხმობას.

2010 წელს საშტატო ნუსხის შესათანხმებლად ეკონომიკის სამინისტროში 2010 წლის 31 მარტს გაგზავნილია წერილი, რომელსაც ეკონომიკის სამინისტრო ითანხმებს 2010 წლის 15 აპრილს. აქედან გამომდინარე, 2010 წლის 15 აპრილამდე აკრედიტაციის ცენტრს ეკონომიკის სამინისტროსთან შეუთანხმებლად აქვს გაცემული ხელფასები.

2011 წელს აკრედიტაციის ცენტრის მიერ ეკონომიკის სამინისტროში 02.02.2011 და 18.02.2011 თარიღებში გაგზავნილია ერთნაირი შინაარსის ორი წერილი, თანამშრომელთა წახალისებისთვის გამოსაყოფი სახსრების ლიმიტების შესათანხმებლად (28,400 ლარი). თუმცა ეკონომიკის სამინისტროსგან შეთანხმებაზე პასუხი არ მოსულა.

პრემიები

აკრედიტაციის ცენტრი 2010, 2011 და 2012 წლებში პრემიებს გასცემდა როგორც საბიუჯეტო, ასევე არასაბიუჯეტო სახსრებიდან.

2012 წელს ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით, არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან შტატიან თანამშრომლებზე პრემიის სახით გაცემულია 39,522 ლარი, ყოველთვე თანაბარ თანხებად 3,296 ლარი. პრემიის გაცემის საფუძველი, არ ემყარება ორგანიზაციის ხელმძღვანელობის რაიმე დასაბუთებულ მსჯელობებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ცენტრში პრემია არ წარმოადგენს წახალისების საშუალებას, იგი არის ჩვეულებრივად ასაღები ხელფასის ნაწილი. თავისი არსით კი პრემია უნდა გაიცეს თანამშრომელთა წახალისების და მათი პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით და არა ხელფასის სახით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2010, 2011 და 2012 წლებში შტატიან და შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემული ხელფასები:

ხელფასი	2010	2011	2012
ხელფასი ბიუჯეტიდან შტატიან თანამშრომლებზე	142,021	133,685	135,385
ხელფასი არასაბიუჯეტოდან შტატიან თანამშრომლებზე	-	-	52,957
პრემია ბიუჯეტიდან შტატიან თანამშრომლებზე	-	8,315	-
პრემია არასაბიუჯეტოდან შტატიან თანამშრომლებზე	27,050	26,666	39,552
ხელფასი შტატგარეშე თანამშრომლებზე	21,653	19,313	22,575
ხელფასები მოწვეულ სპეციალისტებზე	18,421	21,260	24,715
სულ	209,144	209,238	275,184

⁹ 23.01.2012 N18/1572 წერილი

მივლინებები

აკრედიტაციის ცენტრის მიერ ძირითადად სამივლინებო ხარჯები გაწეულია საქართველოს ტერიტორიაზე, აკრედიტაციების ჩატარების მიზნით. ასევე იყო მივლინებები საზღვარგარეთ სხვადასხვა სემინარებსა და კონფერენციებზე.

აკრედიტაციის ცენტრის 2010 წლის სამივლინებო ხარჯმა შეადგინა 21,823 ლარი, 2011 წლის - 23,206 ლარი, ხოლო 2012 წლის - 25,844 ლარი.

აკრედიტაციის ცენტრში 2010, 2011 და 2012 წლებში სამივლინებო ხარჯები გაწეულია თანამშრომლებზე და ხელშეკრულებით დაქირავებულ სპეციალისტებზე. სამივლინებო ხარჯები ასევე გაიწეოდა აკრედიტაციის გასაცემად სამუშაოების ჩატარების დროს მეთვალყურის სტატუსით მოწვეულ პირებზეც, რომლებიც არ წარმოადგენდნენ აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლებს.

ქვემოთ მოცმულ ცხრილში წარმოდგენილია მეთვალყურის სტატუსით მყოფ პირებზე გაწეული სამივლინებო ხარჯები:

სახელი გვარი	2010	2011	2012
გოგოლაშვილი გიორგი	30	-	-
დარჩიაშვილი ელიზბარი	230	30	120
ქველაძე ლადო	75	-	-
ავალიანი ზაზა	95	-	-
მერკვილაძე ლევანი	-	145	-
სულ	430	175	120

სამივლინებო ხარჯების გაწევისას არის შემთხვევები, როცა სამივლინებო ხარჯზე არ არის წარმოდგენილი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გარეშე გაწეულმა სამივლინებო ხარჯებმა შეადგინა 2010 წელს 299 ლარი, 2011 წელს 722 ლარი, ხოლო 2012 წელს 505 ლარი.

აღსანიშნავია, რომ აუდიტის მიმდინარეობის პერიოდშივე, დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე გაწეული სამივლინებო ხარჯებიდან 2011 წელს მივლინებაში მყოფმა რამდენიმე თანამშრომელმა აკრედიტაციის ცენტრის საბანკო ანგარიშზე დააბრუნა 360 ლარი, ასევე 2012 წელს მივლინებაში მყოფმა თანამშრომელმა აკრედიტაციის ცენტრის საბანკო ანგარიშზე დააბრუნა 206 ლარი.

ქვემოთ მოცმულ ცხრილებში ნაჩვენებია თანამშრომლების მიხედვით გაწეული სამივლინებო ხარჯები, რომლებზეც არ არის წარმოდგენილი დოკუმენტაცია და რომელთა სრულად დაბრუნებაც უკვე განხორციელებულია აკრედიტაციის ცენტრის საბანკო ანგარიშზე, აუდიტის პირველადი ანგარიშში ასახული შედეგების გაცნობის შემდგომ:

2010 წელი	სამივლინებო ხარჯი	წარმოდგენილი დოკუმენტაცია	სხვაობა
მეგრელიძე ნინა	30	15	15
კვიციანი ზაზა	390	370	20
კასაბური უჩა	740	476	264
ჯამი	1,160	861	299

2011 წელი	სამივლინებო ხარჯი	წარმოდგენილია დოკუმენტაცია	სხვაობა
კვიციანი ზაზა	375	210	165
ხაცავა სერგო	240	225	15
ნანობაშვილი ლერი	180	130	50
ჯიბლაძე დავითი	350	218	132
ჯამი	1,145	783	362

2012 წელი	სამივლინებო ხარჯი	წარმოდგენილია დოკუმენტაცია	სხვაობა
კასაბური უჩა	205	172	33
ჯიბლაძე დავითი	89	73	16
შიოლაშვილი გიორგი	360	287	73
ღვინერია შოთა	205	172	33
კალანდაძე ელენე	321	266	55
გოგოლიძე პაატა	2,025	2,002	23
ქუთელია ინეზა	6	-	6
კუგუშევა ალლა	230	210	20
ჯორბენაძე მადონა	230	210	20
კერესელიძე მარიკა	230	210	20
ჯამი	3,901	3,602	299

2011 წლის 1 აპრილს გიორგი შიოლაშვილის სამივლინებო ხარჯი წარმოადგენს 165 ლარს. აქედან 150 ლარი შეადგენს საწვავის ხარჯს, რაზეც წარმოდგენილია ბენზინგასამართი სადგურის ორი სალაროს ჩეკი (ერთი და იმავე დროს ამობეჭდილი 60 და 90 ლარზე). გამომდინარე იქიდან რომ არ არის ორგანიზაციაში დადგენილი საწვავის ხარჯვის ლიმიტები, ვერ გადამოწმდა საწვავის ხარჯის სისწორე. თუმცა აღსანიშნავია, რომ 150 ლარის ოდენობის საწვავს (70-75 ლიტრი) არ საჭიროებს თბილისი-ხესტაფონი-თბილისის მარშრუტი. აკრედიტაციის ცენტრის განმარტებით, ავტომობილი (OPEL Omega 1992 წ.), რომლითაც თანამშრომელი იმყოფებოდა მივლინებაში, იყო მწყობრიდან გამოსული და ხარჯავდა იმაზე ბევრად მეტ საწვავს, ვიდრე მის საპასპორტო მონაცემებში იყო დაფიქსირებული.

შესყიდვები

აკრედიტაციის ცენტრის მიერ 2010, 2011 და 2012 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:

	2010		2011		2012	
	ერთ.	ღირებულება	ერთ.	ღირებულება	ერთ.	ღირებულება
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	-	-	1	8,820	2	27,970
კონსოლიდირებული ტენდერი	-	-	-	-	1	15,000
გამარტივებული შესყიდვის წესი	40	43,835	26	40,003	47	65,431

2012 წლის 26 მარტს აკრედიტაციის ცენტრმა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შედეგად 24,000 ლარად შეიძინა ავტომანქანა “KIA Cerato”. აღნიშნული შესყიდვის განხორციელების მიზნით, აკრედიტაციის ცენტრმა 2012 წლის 16 მარტს გამოაცხადა ტენდერი (SPA120008730) 1 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების შესყიდვაზე. სატენდერო დოკუმენტაციის შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ აღწერილობაში მითითებულია შესყიდვის ობიექტის კონკრეტული განზომილებები, კერძოდ, ავტომანქანის ზომები უნდა იყოს: სიგრძე 4,530 მმ, სიგანე 1,775 მმ, სიმაღლე 1,460 მმ.

აკრედიტაციის ცენტრის მიერ ობიექტური გარემომგებობით და მსჯელობით დაუსაბუთებელია კონკრეტულად ამ პარამეტრების ავტომობილის შესყიდვისის გარდაუვალი აუცილებლობა, რაც თავის მხრივ, ვერ უზრუნველყოფს ასახელმწიფო შესყიდვის პროცესში სამართლიან და არადისკრიმინაციულ მიდგომას.

აღსანიშნავია, რომ ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა და მის მიერ შემოთავაზებულ იქნა აღნიშნული მოდელის ავტომანქანა. ამ ფაქტის შესახებ აკრედიტაციის ცენტრს განმარტება მოსთხოვა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ¹⁰. წერილის პასუხად აკრედიტაციის ცენტრმა გააგზავნა განმარტებითი ბარათი, სადაც მითითებულია, რომ ტენდერში შეიძლებოდა შემოთავაზებულიყო „Hyundai Elantra“. მათი განმარტებით, ამ ავტომანქანას აქვს იგივე განზომილებები, რაც სატენდერო დოკუმენტაციაში არის მოცემული, თუმცა ეს სიმართლეს არ შეესაბამება. „Hyundai Elantra“-ს ზომებია: სიგრძე 4,530 მმ, სიგანე 1,775მმ, სიმაღლე 1,445 მმ.

აუდიტორთა ხელმოწერა:

ბესიკ ქოჩიაშვილი




თენგიზ თევდორაძე



შმაგი ჯოჯიშვილი



გიორგი ხითარიშვილი



¹⁰ 2012 წლის 29 მარტის N2/5-1049 წერილი